



ლიტერატურული მემსხეთი

№11 (314)
ოქტომბერი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაჩვიდმეტი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

მერაბ ბერიძე - 75

უნივერსიტეტი უკოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს იუბილეს!



ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის ღვაწლი და დამსახურება განუზომელია არა უნივერსიტეტისთვის, არამედ სამცხე-ჯავახეთის უახლესი ისტორიისთვის, შესაბამისად, ქვეყნისთვისაც. სამცხე-ჯავახეთში საუნივერსიტეტო განათლების ფუძემდებელმა

ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს წლებში შეძლო, რეალობად ექცია უნივერსიტეტისთვის იდეა – გაეგრძელებინა ტაო-კლარჯეთის უძველესი საგანმანათლებლო კერების ისტორია, სამხრეთ კავკასიაში უპირველესი უნივერსიტეტის – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციები.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ომი, რომელსაც შედეგად ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა, სამოქალაქო დაპირისპირებით გამოწვეული სოციალური კრიზისი გასდევს ფონად თბილისის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რვა ფილიალის გახსნას. გასაგებია ის ობიექტური მიზეზები, რომელთა გამო რვა ფილიალიდან შეიძლება ვერ გააგრძელა არსებობა. იმავე შედეგს განიზარებდა თსუ-ს ახალციხის ფილიალი, რომ არა მისი დირექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

შესაძლოა პიროვნებები არ ქნიან ისტორიას, მაგრამ მერაბ ბერიძის

ცხოვრების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, საქართველოს, კონკრეტულად კი სამცხე-ჯავახეთის განვითარების გადამწყვეტ ეტაპზე სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლა ღრმა კვლავ დააჩინდა თანამედროვეობას და დაინერა რეგიონის აღმავლობის ისტორია!

უამრავი სირთულის მიუხედავად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ბატონ მერაბს რომ სჩვევია, საქმისადმი სწორედ ისეთი შესაშური ერთგულებით, მოთმინებით, გააზრებულად და თანმიმდევრულად ქმნიდა თანამოაზრეებთან ერთად ძლიერ საგანმანათლებლო სივრცეს, ჯერ ახალციხეში თსუ-ს ახალციხის ფილიალის, შემდეგ თსუ-ს ჯავახეთის ფილიალის სახით. მალე იგრძნო მხარე, რომ სხვადასხვა სფეროში სპეციალისტების სამჭედლო კი არ ჩამოყალიბდა მხოლოდ, არამედ ახალგაზრდა ოჯახების შექმნით, საკუთარ ქალაქებსა და სოფლებში მათი დარჩენით, გაჩნდა სიცოცხლისა და განვითარების განსხვავებული პერსპექტივა. არ არსებობს საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი არცერთი სფერო, რომელიც დარჩა პროფესორ მერაბ ბერიძის ფიქრისა და ზრუნვის მიღმა. უკვე ისტორიაა პრო-

ფესიონალებსა და სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის აღდგენაში მონაწილეობა, საკუთარი ინიციატივით და სახსრებით აღმართული ქვა-ჯვრები და ტაძრებისთვის შენობის ნაჭედი კარი.

ცხოვრების უღელ კრედიტსა და იდეალურ ზუსტად შეესაბამება მისი კვლევითი ინტერესები. სფერო, რომელშიც სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა პროფესორი მერაბ ბერიძე და იგი, მისი ცხოვრებასავით, კომპლექსური, მრავალმხრივი და ღრმაა. მეცნიერმა თაობები გაზარდა და დაინტერესა სამცხე-ჯავახეთის ქალაქებისა თუ სოფლების, დასახლებების, უბნების, მთებისა თუ მდინარეების, მინის თითოეული გოჯის სახელწოდებების, ეტიმოლოგიის, ისტორიის კვლევით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა საქართველოში ონომასტიკური კვლევების ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო სკოლა. 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა მხოლოდ 2024 წელს ორი ახალი მონოგრაფია გამოსცა, ორივე სამაგიდე ნივნი თანამედროვეობისთვის და საჭირო მომავალი თაობებისთვის.

დღესაც გადადებია მისი სიყვარული საქმისადმი, თავდადება მიზნისკენ

მიმავალ გზაზე, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. უნივერსიტეტში სტუდენტებს, პროფესორებს, თანამშრომლებს – ყველას თავისი „ბატონი მერაბი“, ჰყავს, ზოგის მასწავლებელი, ზოგის მეგობარი, ზოგის მრჩეველი, ზოგის თანამოაზრე, ზოგის სტიმული და მაგალითი... მერაბ ბერიძის პოეტური კრებულები შეფარვით იტევს დაუშახურებელი ტკივილით გამოწვეულ სევდას, ბევრი გადატანილი სირთულის ემოციას, რომელიც საბოლოოდ მანც რწმუნად და იმედოდ ქცეულა. ბატონი მერაბი საზრდოობს შესანიშნავი, ჭკუმიარტად ქართული და ღრმადი ოჯახის სიყვარულით, რაც მის დიდ ადამიანობას კიდევ ერთხელ უსვამს საზს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს ობილეს, ქვეყანას სჭირდებოდა მისი ღრმადი გავლენილი 75 წელი! ვუსურვებთ ჩვეულ მხნეობას, რადგან კიდევ ბევრი თაობა ელოდება მასთან შეხვედრას!

მამა პერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ჩემო მერაბ!

შენ შენი საზოგადო მოღვაწეობით და ლიტერატურულ-მეცნიერული რუდუნებით სამუდამოდ ჩაეჭსოვე საქართველოს უძველესი ისტორიული ჭის – სამცხე-ჯავახეთის ისტორიას.

შენს ღვაწლს, თუ სადმე სამართალია, თაობები არ დაივიწყებენ.

იმის შემდეგ, რაც სასაზღვრო ზონის არტახები მოიხსნა, მახსოვს, შენ პირველი აღმოჩნდი სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი განათლების სამჭედლოს შექმნის საქმესთან.

შენ, განათლებისა და მეცნიერების დიდი მოუზრავი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილიალიდან შენდამი რწმუნებული უმაღლესი სასწავლებელი მესხეთის უნივერსიტეტად აქციე და დღეს იგი საქართველოში ერთ-ერთი ფრიად სახელგანთქმული ეროვნული ნიშნავია.

მახსოვს, როგორ უზაროდა როინ მეტრეველს, რომ მისმა ჩანაფიქრმა შენი თავდაუზოგავი მეცადინეობით ფრთები შეისხა.

50 წელზე მეტს ითვლის ჩვენი მეგობრობა. ეს დრო ერთი კაცის სიცოცხლეზე მეტია და თუ შენს მეცნიერულ საგზალს ერთი გადახედვით შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ

სასახელო ენათმეცნიერულ-ტიტოლოგიურ-ლექსიკოლოგიური სკოლა შექმენი ისე, რომ შენი მშობლიური კუთხიდან ფეხი არ გაგიდგამს.

ბარაქალა მაგ შენს ნიჭს, შემართებას და აზროვნების მასშტაბურობას.

შენ, საქართველოს მწერალთა კავშირის ღირსეულმა წევრმა, პირველხარისხიანი ლექსებით, მოთხრობებით, პუბლიცისტური ჩანახა-

ტებით და კრიტიკული წერილებით გამდიდრეთ მშობლიური ლიტერატურა.

ამ მუხლწაუხრელ შრომის და შემოქმედებით ნება-დაგვაში 75-იც მოვიდა.

გილოცავ, ჩემო მერაბ, დამსახურებულ იუბილეს.

„მაგრად დექ!“

შენი რეპაზ მიშველაქა

„შოთაოშა“ რუსთაველი

„შოთაოშა“ რუსთაველი

„მიღწიან მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები...“ ბრძანებს დიდი რუსთაველი. მოგონება მოგონება... თუმცა რუსთაველი ჩვენში არა მარტო მოგონებით ცოცხლობს, არამედ იგი ჩვენს გულს სისხლხორცულად ზის და მისი სიბრძნე, მისი ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ქართული სულის გამოხატულების მარადიული თანმდევი და მუდამყვამს გვაიხმედებს, რომ რუსთაველის შემქმნელი ერი არასოდეს გადაშენდება.

ჩვენ კი, რუსთაველის ნაკენარზე, მეტი სიამაყით განგვანყობს იმის შეგრძნება, რომ მის მშობლიურ მიწაზე ვცხოვრობთ და ამაყად დავაბიჯებთ ქართველი ერის უპირველესი შვილის ნატერფალზე. ამით კი დიდი ვალდებულება გვაკისრია რუსთაველის სახელ-დიდების წინაშე.

„პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაოშა“ ამის ნათელი დასტურია, რომელიც 1966 წლიდან მოყოლებული, მის მშობლიურ სოფელ რუსთაველში, ყოველწლიურად, ტრადიციულად აღინიშნება.

ამა წლის 29 სექტემბერიც „შოთაოშის“ ერთ-ერთი დასამახსოვრებელი დღე იყო, რადგან თითოეული ჩვენგანი იმ დღეს პოეზიით ვცხოვრობდით, რომელსაც მეტი ელფერი მისცა მასობრივმა კულტურულმა ღონისძიებებმა, რომელიც წარ-



მოადგინეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა და შემოქმედებებმა კოლექტივებმა (ხელმძღვანელები ბექა ზედგინიძე, ნუკრი ღორჯომიძე, ჯაბა ასპანიძე, თამუნა ცინაძე, ნათია ასპანიძე) და მონვენულმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ასპანიძის, ადგილის, ახალციხისა და ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილემ დავით ვარდიანიძემ, ასპანიძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ. ასევე მიესალმნენ და ახალი ლექსები წაკითხეს მონვენულმა სტუმრებმა –

საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბადრი ქუთათელაძემ, პოეტებმა ვანო ჩხიკვაძემ, ნინო უძილაურმა, დალი ყარაულაშვილმა, ეკა კვიციანიამ, ქეთევან ჯაფარიძემ. მუნიციპალიტეტის მერმა მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად საზიგოდ გადასცეს მუხრან თაქთაქიძეს, ნოდარ სურმანიძეს და თამაზ მელიქიძეს (2024 წლის) „საპატიო ასპინძელის“ დამადასტურებელი სერტიფიკატები. ტრადიციულად „შოთაოშის“ დღისთვის დაწესებული „ვეფხისტყაოსნის“ სამზიგო ნიგენები გადაეცა ხუთ ასპინძელ ახლადდაქორწინებულს, ამასთან მერიის მიერ დაწესებული პედაგოგთა ნამახლისებელი – 1000-ლარიანი ფულადი ჯილდო, მუნიციპალიტეტის სინამდვილეში პირველად, გადაეცა სოფ. ტოლოშის საჯარო სკოლის პედაგოგს ლიანა მჭედლოშვილს, რომელიც მოტივაცია გახდება მომავალში სხვა პედაგოგებისთვისაც. დღესასწაულის მნიშვნელოვან ნაწილი იყო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ ტრადიციული (2008 წლიდან) დაწესებული „ლიტერატურულ კონკურსში“ გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული პირველი პრემიის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა მარიზა ჯიქიას, კერძო პირ

ელდარ ალიევისაგან დაწესებული მეორე პრემია – ირმა მერაბიშვილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან – ციური ასპანიძე-მესხიშვილს, ხოლო თსუ-ს მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან (დირექტორი დიმიტრი კორძაია) დაწესებული მეოთხე პრემიის და-

მადასტურებელი სერტიფიკატი – სონია მექვაბიშვილს. გამარჯვებულებს მიესალმა და კონკურსში გამარჯვება მიულოცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ.

დამსწრე საზოგადოების წინაშე პირველად შესრულდა მერაბ ბერიძის ლექსზე შექმნილი „სიმღერა

დიბამ, ამასთან მათ მიეცათ საშუალება დაეგემონებინათ მესხური კერძები. ღონისძიებას ორგანიზება გაუწია მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განყოფილებამ (ხელმძღვანელი თათარ ცინაძე).

პატივდღილ მისნი



ლიტერატურული კონკურსში



მარიზა ჯიჟია

აფხაზეთი

აფხაზეთი უსასრულო ფიქრია, ანაკლია, – წინაპართა საძვალე, წლები ახლა ისე სწრაფად მიჰქრია, ამულეტი დავეკარგე და მანვალეებს ფიქრი: როდის, ნუთუ დამიბრუნდება მურზაყანთა მამული და საძვალე?!?.. და იმედი, რომ ვიპოვი, არ კვდება, ქაფი ლოშნის საოცნებო ნაპირებს... სველ წვივებზე სიყვარულით მაკვდება, ვნებით მკოცნის, ფიქრით გამინაპირებს. ნეტავ როდის, ნეტავ რა გზით ვიხილავ ფრთამოტეხილ საქართველოს ერთიანს? მინდა ვნახო ენგური და რიონი შავ ზღვას ვნებთ რა სიჩქარით ერთიან. ვნახო, როგორ ჩაიდგება მზე ზღვაში და დაისი ერთიანად გამთანგავს... სიყვარულად დაიბუდებს ხშირ თმაში, ზღვის ალერსი მომწუსხავს და დამთაფლავს. თუმცა, სული გამუდმებით ჯანყდება, დარდი ისევ ჩუმად ითხრის სამარეს, ღრუბელივით გაფანტულან ფიქრები, გულს მიღრღნის და ვიცი დამასამარებს! მსურს ვიხილო ერთიანი მამული: მოქვი, ლიხნი, ილორი და ბეღია, აქ ბიბლიურ სიუჟეტებს ჩავუვლი, რაც დავკარგე... სიცოცხლეზე მეტია! სად ხარ ბაგრატ?!.. ალბათ ესეც ბეღია, მონასტერი, საფლავებზე ქვეული, სულ მანამებს ილორი და ბეღია,

ჯვარ-გუმბათი თითქმის ჩამოქცეული. გურანდუხტი დაგლოცავდა, ცხადია, როცა ტაძრის აშენება მოგინდა... ამას თავად ტაძრის ფრესკა ლაღადებს: ტაძრის ხატი ფიქრში თავად მოვიდა. სად წარწერა თვალწინ გამიცოცხლდება: „აფხაზთ-ქართველთ მეფე, ჭირისუფალი, ქორონიკონს 1001 ატყვიან...“ შექმნის თარიღს არ გვიკარგავს უფალი. დღემდე ძველი ანაბეჭდად ინახავს მეფეთ ნუსხას, – საამაყო სახელებს, ლიხნის ტაძრის უძველესი წარწერა ქართულია, რაც მტერს ასე ახელებს!.. და რომ ძველზე საოცარი ის არი, კომეტების გამოჩენაც წერია!.. ეს ფაქტია, არ ერევა მისანი, მარი ბროსე მისი გადამწერია! „ღვთისმშობლო, ჩვენო მცველო, მეოხე“ რაც ბედის დასავლეთის კედელს რთავს... „ქმენ წმიდისა ამის საყდრის მლოცველი“, შეენიე, ნუ გაივლებ ბოროტს თავს!.. მოქვის ტაძარს ოჩამჩირე ინახავს, მოქვი იყო კულტურული სავანე, მასზე დავით მეფისემატ იზრუნა, თუმცა, მერე მტრებმა დაასამარეს. ეს ტაძარი ლეონ მეფის ძეგლია... აქვე შექმნა ეპისკოპოსთ კათედრა, და ესაა ის კოდორის უბანი, სად ფრესკები რუსმა გადაათეთრა. ტაძარს დიდი ნიგნთსაცავი ჰქონია, ხელნაწერთა უამრავი ნიმუშით... აქ მეათე საუკუნე ცოცხლდება... გეყოფს მტრობა და ქართველი მიუშვით! პატრიარქიც მუდამ ერთი გეყოლია: ცხუმ-აფხაზთა ერთიანი სინამდვილე, ღმერთო, ერთი სასწაულიც მოგვეცი: ღრუბლებისგან ეს ცა გადაგვინმინდე!

ლექსი ზოდვას

ლექსი ზოდვას... ასე მითხრეს, ასე ამბობენ, ლექსი ზოდვას მტკივნეული, ღია იარა... და ამტკივითა შემანუხა, როგორც ბართლომე, ბატონებივით გამოფინა, არ გამიარა. ლექსი ზოდვას... და ნაღდ პოეტს აბოლებს ხშირად, ის სწეულია პოეზიით, არ ჭრის კურნება, მისი სხეული შეუპყრია საუფლო ზოდვას და ეს ტკივილი არა წამლით არ იკურნება. ეს ღვთის ნიჭია, – ტიპური ნათანაელი,

ის ერთეულებს ზარ-ზეიმით ადგამს ტიარას! ვერ გაღმერთდება იქ, პარნასზე იქედნეს ლანდი, კერპების მსხვერუდამ ასი ყირა გადაიარა... ლექსი ზოდვას... პოეტი კი მოზრდილი ბავშვი და მოვლენებსაც აღიქვამენ მთელი სიმძაფრით, ძლიერი ლექსი, – სულის მძაფრი ამოძახილი, სულზე მომზული, დაჭიმული უწყვეტი ძაფი. ლექსი ზოდვას... და, ცხადია, მეც გაბმით ვბოდავ, ლექსი ზოდვას... მტკივნეული ღია იარა, ,, ლექსი ზოდვას... ბატონებზე გამოფინეს, ხოდა, მაღლობა უფალს, რომ ამ ბოდვამ არ გამიარა!

„მოდით და ნახეთ სამართალის უსამართლობა!“
გიეტორ ჰიუგო.

„მოდით და ნახეთ სამართალის უსამართლობა!“
წერდა ჰიუგო... გზა ყულფისკენ!.. სიმართლის გეზი. ეს მაშინ, როცა ჯადოქრობად ნათლავენ რწმენას, და სახეზეა სამართალის ყრუ ანამენი!..

მოდით, იხილეთ!.. ციტადელი დაიწყებს რწევას, დაგმანულ კარზე შეტევას... ზეიმი ძალის!.. წარსულის ფერებს არ უხდება გაფერმკრთალება და ძვალგაჩხერილ საუკუნედ ჩანს ამორძალი...

მ ა ნ ა ნ ა ლ ა თ ა ე პ ო პ ე ა მოწმეა ამის...
მოდით და ნახეთ სიყვარულით შეზრდილი ჩონჩხი, გზა ყულფისკენ!.. აქ კანონი ზეიმობს კარმის... აქ ჯადოქრებზე შერაცხავენ მართალთ და ცოდვილთ.

დღეს ხომ სამართალს ჩაენაცვლა უსამართლობა და როგორც წესი, ეს არავის არ უკვირს ახლა... სული სხეულის ლაბირინთებს გასწვდა ანაზად და ბრმა თემიდაც გამუდმებით დაეძებს სახრავს.

აქ ჰამურაბის სამართალი არავის ხიბლავს: „თვალის-თვალის ნილ, კბილი-კბილის...“ ათასი სხვა რამ, აქ სამართალი არასოდეს პურს არ ჭამს, არ სვამს, ვაი სამართალს ეწირება ათასი ზვარა.

არც შუმერ შულგის, არც ეშნამუს კანონთა ნუსხა, არც ტალიონის პრინციპები არ გაჭრის ახლა... აქ სამართალის უსამართლო პრინციპი გნუსხავს, ვაი სამართალს უკანონო სამსხვერპლო ახლავს.

გზა ყულფისკენ!.. ასეთია სამართლის გეზი, ეს მაშინ, როცა ჯადოქრობად ნათლავენ რწმენას, ეს მაშინ, როცა ძვალდამსხვერუელს მარხავენ სინდისს, როცა ბიძგებში ციტადელიც ავრძელებს რწევას.



ირა ბერაბიძე

მესხი დედის გულის სიმღერა

მესხეთში ვრჩები და მის ჭალარას გაზაფხულივით გავაფერადებ, არსად მივდივარ, მე უნდა ვწურო პირველი ვაზის ბოლო ნაჟური, მესხური ციხის ქონგურებიდან ჩემი ხელებით შექმნილ კაბას ავაფრიალებ, მის სიმღერაზე თითის წვერზე დავტრიალდები. არსად წავსულვარ, იქაც ვიყავ, მტკივან წარსულთან, შვილებს ომის წინ, ამ მონისთვის მე ვახელებდი, ზიარეთებშიც მე დამქონდა მუხლით ცრემლები და კალთით მათთვის იავნანებს შევავედრებდი. მეციხოვნეებს ვზრდიდი კუშტად, გაუტყებლად და თავშესაფრებს სითბოს სანთლით ვაჩირადლებდი... არსად წავსულვარ!

დამპყრობლების მონობის ჟამსაც, გახურებული შანთების წინ ვიღიმებოდი... წინაპართ კალოს ხორბალს ვმკიდი, ღვინოს ვაკმევდი, მათ ნაშენ ფუძეს ცეცხლს ვუნთებდი, ქალებს ვუფენდი, თანაც ვტვიროდი, ვღიღინებდი მესხი ქალის გულის სიმღერას, თან ისევ აკვანს ვუჯექი და მატყლის ქულით წინდებს ვუქსოვდი. არსად მივდივარ! ფუძე ჩემი მე ვარ მესხეთის, მე უნდა ვშვა ძე მედროშე, ძე მეციხოვნე, და მე თუ არა, სხვა ვინ იქნება, სხვა ვინ იბრძოლებს?! მინის ზვარაკად უნდა აღვზარდო სამსხვერპლოები. ვინ დარეკს ზარებს ძველი ტაძრის სამრეკლოებზე, ვინ შეუკავებს მორღვეულ კედლებს, ოდას და დარანს, ვინ მოუშუშებს საუკუნის წინ გადამწვარი ტყეების ფესვებს, უნაყოფობას, მესხის ხელებით შექმნილ მალამოს ვინ მოუშადადებს? არსად მივდივარ! მე უნდა ვწურო პირველი ვაზის ბოლო ნაჟური, ქართული ციხის ქონგურებიდან, ჩემივე დროშით ავგონილდები, მესხეთში ვრჩები... და მის ჭალარას ჩემივე ლექსით გავაფერადებ, მის სიმღერაზე...? – თითის წვერზეც დავტრიალდები.

სარო

ოქროს ხავსები მოდებია გიგანტურ ქვათა მაგნიტური პორტალის კედეს, აქ, ოქროს ფიქრებს მზე ყოველ დღე წვიმად აფანტავს, აქ, წინაპრები, ზედ ჩემ თვალწინ ხორბალსა ლენენ, თიხის ჭურები, კვლავ ადენენ ვაზის ნათაფლარს, ოქროს ბეჭედით დაუნიშნავს ვაჟს დედოფალი,

საროს კარიბჭეს ციხეებზე მოაბიჯებენ, ოჯახის ბურჯად დაუდია თავი ლოდა ქვას, კერიის ცეცხლი აჩირადლებს ათასწლოვან დღეს. დღე ერთია და მზე ათასი, ასი ათასად, ლაზათიანათ მიანგრევენ საუკუნეებს, ქვა გვეტყვის – ვინ ვართ, საიდან ვართ, რა მოგვდგამს გვარად, რა გავვივლია... გვიარსებია? ახლა ვინა ვართ?!

ჩანჩქერებს გულში რომ ჩაიკრავს ქვის კანიონი, გასამხნეველად მტკვარი უხმობს ბებერ ტერასებს, ოჯახის ბურჯად დაუდია თავი ლოდა ქვას, კერიც ცეცხლით აჩირადლებს ათასწლოვან დღეს.

წყლის წვეთებიდან – უფლის სისხლამდე

წყლის სუფთა წვეთო! ნუთუ არ იცი?! სპეტაკი წვეთის ძლიერი რისხვა ნემსივით მწველი, ჩურჩულა თქორით ჩუხჩუხა ჭორომს გამოურიყავს... სანამ ჩანჩქერი წვეთ-წვეთ ნავარდობს ბავშვივით სუფთა ფიქრებს განვეთებს, ჭორომს არ ჩაწყვე, თორემ ვნებთ თავ – გზას ავირევს, მძიმედ დაგათრობს, განვიკითხავს, გაგინაპირებს... მერე ყველაფერს ერთ კვალში აქცევს, მიედიხება თავის მდინარით, თუ გინდა კვლავაც განინმინდო, ჩანჩქერად იქცე, უსასრულობად უნდა სდიო ცხრამეტი მთა და ცხრამეტი სვეტი... იქნებ სადმე შემოხვედ კლდეებს და აგისხლიტონ, თავიდან გშვან, ისევ გაგწმინდონ... იქნება მერე მაინც გენვიოს რბილ ნიადაგზე მძიმედ დაცემა, მზემ დაგანათოს, ხორბლის თავთავად რომ აღმოცენდე ბერების ხელმა პურად ჩაგდოს ბარძიმის სისხლში, წყლის წვეთებიდან – უფლის სისხლამდე, იქნება სულიც გამოანათო და ღმერთად იქცე.



– გული...
 – სახელი? გვარი?
 – ვერ გაიგეს, მაგრამ მომაკვდავს, როგორც ამბობენ, ბოლო სიტყვა უთქვამს – სოხუმი.“

და... როდესაც ჩემს მეგობარს მის საფლავზე მივყვები, მახსენდება ხოლმე ჩემი ბავშვობა და მათ ოჯახში გატარებული დრო...
 ჰოდა, იცით, ყველაზე მეტად რა მახსოვს? ჩალაგებულ ჩემოდნებს რომ არ ხსნიდნენ... დაბრუნებისას დრო რომ არ დაეკარგათ...
 ძველ ალექსანდრეშია: „თუ დაგივინყო შენ, იერუშალაიმ, დამივინყოს მარჯვენამ ჩემმა.“
 ჰო! უნახავად ვიტყვებდი სიყვარულში და

გამოუშვით ბორჯომში სამშვიდობოს, ის მხოლოდ 7 წლის იყო. ჩვენ საარტილერიო დივიზიონში ვმუშაობდით და იქ ვიყავით. ნახევარი საათიც რომ დაგვეყოფნებინა იქ, 250 კაცს, ყველას დაგვხოცავდნენ. 5 დღე მოვდიოდით და ქვემოთ როცა ჩამოვედით, სვანების ერთი ოჯახიდან, ქალმა ერთი დიდი პური და ზედ დადებული ყველი გამოგვიტანა. 23 ბიჭი მოგვყავდა თან და... სულ იმათ დაუუნანოლეთ ის ყველი და პური, მე და ჩემ მეუღლეს პირი არ დაგვიკარებია. მსხალი ვნახეთ იქვე, ის ჩავიდეთ პირში, მაგრამ ყელი გვექონდა გამშრალი ამხელა სტრესისგან და უჭმელობისგან და ის ლუკმა აღარ გადავიდა, გაიჩხირა სადღაც...
 რომ გავგახსენებდა ახლაც, ამდენი წლის მერე, ძალიან რთულია... ცრემლის გარეშე ახლაც ვერ... (მძიმედ ამოიხარა)
 „...მე კი მესიზმრება კატმანდუ, დიოსკურია და სინოპი, მაგრამ რა ხანია ვაბრუნებ

– ჩაგვიკრა გულში ნამდვილად! ცუდად არ მოგვეცევი. სულ თავიდან, მატარებელში ორი ქალი გამოგველაპარაკა, ახალდაბლები ვართო, ნამობრძანდით ჩვენს სახლში, დაგაპურებთ, რაც შეგვეძლება, ყველა იმ საჭირო ნივთს მოგვცემთო, მაგრამ რატომღაც არ წავყვით, თუმცა გული სითბოთი აგვევსო.
 ნულიდან დავიწყეთ ჩვენ აქ ცხოვრება, რთული დღეები გადავლახეთ, არც თეფში გვექონდა, არც კოვზი... ვერაფერი ნამოვიღეთ იქიდან, მხოლოდ ცოტა ოქრო. 40 000 იქ დავტოვე, უმცროსი შვილის პიჯაკის ჯიბეში ჩამრჩა... ისე ნამოვედით, ვერ ავედით მერე სახლში, 12 დღე იბომბებოდა ჩვენი მხარე... ფულს არც დავეძებდით, ადამიანის სული არ დაგვეკლებოდა, ოღონდ, ეს იყო მთავარი! მაგრამ... ვერ ავედით დანაკლისს: – უფროსი და, მისი მეუღლე და უმცროსი დის მეუღლე დავტოვეთ იქ...
 ვცდილობ, მეტად აღარ დავამძიმო და უცბად სხვა კითხვა შევაშველე:

შენდა გველლოდო, აფხაზზეთო,

27 სექტემბერი... ჩვენს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია. ეს არის დღე, რომელიც არასოდეს უნდა მიეცეს დავიწყებას.

31 წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმი დაეცა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა. სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას 27 ივლისს, სოჭში, ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, დადებული შეთანხმება უძლოდა, თუმცა აფხაზური მხრიდან ის 16 სექტემბერს დაირღვა.

ქართული მხარის ამ დრომდე დაუზუსტებელი მონაცემებით, 5 ათასი ქართველი ჯარისკაცი და 8 ათასი ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 400 ათასი დევნილი კი - უსახლკაროდ დარჩა.

სოხუმის დაცემის დღეს, რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ჟიული შარტავა, 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

„32 წლის წინ, 14 აგვისტოს ტყვია ისროლეს სოხუმში... ხმა ქონია ისეთი, დღემდე რომ გვემის და გვეტივა!“

ერთ ამბავს გეტყვით... მეტად გასაგებად მგონია, რომ ვერ ავხსნი ამ განცდას...

ჩემს ერთ უსაყვარლეს მეგობარს სოხუმიდან შემოუთვალეს დიდი პატივისცემით, თუ თქვენი ნება იქნება, ბებიას გადმოგისვენებთ თბილისში... ჩემმა მეგობარმა ბაბუას უთხრა, ერთ ძალიან კარგ კაცს და კარგ სოხუმელს...

იცით, ბაბუამ რა უპასუხა? – აფხაზებს შეუთვალე, სოხუმში რომ ჭიშკარი გვექონდა, ეგეც მოთხარონ და გამოგვიგზავნონ, რომ მიზეზიც აღარ გვექონდეს უკან დასაბრუნებელი... ჩემს ცოლს თავი გაანებონ, თავის სახლში მარხია, მე ვიკითხო, დევნილობაში რომ უნდა დავიმარხოო...“

თბილისში მარხია ის კარგი კაცი...
 „ – გუშინ, აქ, თურმე, ამ გზის იქით, კაცი მომკვდარა.
 – შუა ქუჩაში?
 – ხო, ქუჩაში.
 – მიზეზი?

ღმერთს ვთხოვ! თუ დაგივინყო შენ, აფხაზეთო, დამივინყოს მარჯვენამ ჩემმა!“ /სანდრო ელოშვილი/

31 წლის წინ და... რა უცნაური დამთხვევაა... ზუსტად 31 წელია, რაც ჩემი დღევანდელი რესპონდენტებიც ლტოლვილებად იწოდებიან და ჩვენს ქალაქში უპოვიათ ნავთსაყუდელი... ოღონდ ზღვის გარეშე... ნონა თოდუა და გრიგოლ თოდუა სოხუმიდან... ისინი 1993 წლის 13 ოქტომბერს (და ისევე უცნაურად დამთხვეულ ციფრებზე ფოკუსირება – „კონფლიქტი 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა“) იძულებით ჩამოვიდნენ ბორჯომში...

მათთან მისვლისთანავე, გამოცნაურების პირველივე წამებიდან სევდამ შემომანათა მათი სიღრმისეული თვალებიდან, აი, ისეთმა უსახელო-სახელიანმა სევდამ, მხოლოდ დევნილებს და არა „ლტოლვილებს“ (რაცაღიარებდა არ მიყვარს ეს სიტყვა), რომ უდგათ თვალში, უკან გაბრუნებულ ცრემლთან ერთად... საუბარი უმალ ენაწყლიანმა ქალბატონმა ნონამ დაიწყო...

– თქვენს მახსოვრობაში როგორ დარჩა აფხაზეთი? თუმცა, დარჩა რაღაცაღიარებდა არაა სწორი ფორმა – დარჩებოდა! ის ხომ სულ თქვენშია...

– დარჩა ბოლო, საშინელი დაბომბილი კადრებით... ჩვენი სახლი დაწვეს, და და სიძეები მომიკლეს... (ტკივილი გაუმძაფრდა თვალებში...) ნეტავ დამანახა, ახლა როგორია ჩემი სოხუმი...

„რაო, რას ფიქრობ? რა ფერი გაქვს, ან თმა რას გივავს?! ... ასე გავგნენა სექტემბრის ქარმა? მე, ცოცხალ-მკვდარმა, მოვართიე შენს ტერფთან ძვლები, შენ კი რას შვრები? – დაგვივია წვიმების ფარდა, მახვედრებ მკვდრის მზეს... ჯერ გიმზერ, გიმზერ... საღამომდე არ ვიღებ ბილეთს!... რომ გაგიჩნდი, გყოლოდი, ზღვაო, – რად გამაშვილე?!..“

– ჩვენ „პერევალით“ გადმოვედით, 28 სექტემბერს, სადღაც, ათის ნახევარზე (დეტალებში ახსოვთ) – მე, ჩემი მეუღლე და უფროსი ვაჟი, რომელიც მაშინ 15 წლის იყო, ხოლო უმცროსი ბიჭი მანამდე

ერთი და იგივე კინოფირს, თავიდან... დავიწყით თუ ვინდა, როცა შოკოლადით მოსკრილი დამტოვე ქარიან ქუჩაში, მერე მოიჯარა კედლები სქელ და შეუღწეველ ღრუბლებად, (იყოს პირიქითაც...) უფლება მომეცი ყვირილის, ოღონდაც, როცა დამეკარგე, ხომ მქონდა?.. რატომ მეგონა, რომ ჩამრგავდი, თუნდაც გამოფიტულ ქვიშაში?! ყვავილს ვინ ჩიოდა, იმ წუთას ერთი ღილი მაინც მქონოდა სულის შესაკრავი შიგნიდან...“

– რატომ მაინცდამაინც ბორჯომი?
 – უმცროსი შვილი ხომ აქეთ იყო და...
 – ჰოდა, რომ გამოუშვით, ვინმესთან გამოუშვით თუ, უბრალოდ, ისე აირჩიეთ ეს ქალაქი?

– რეალურ სიმართლეს ვიტყვი: სამსახურში სულ გვეძლეოდა ბორჯომის საგზურები, მაგრამ არ მოვდიოდით აქეთ. კურორტი იქითაც გვექონდა, მეთქი დადგება დრო და წავალთ-თქო და, სწორედ რომ დაგვიდგა „ეს დრო“ – 31 წელია ბორჯომში ვართ უკვე. ჩამოსვლისთანავე მთის ხეობაში დავიდეთ ბინა, ძალიან კარგად მიგვიღეს იქაც. თავიდან ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ, სანამ რამეს დავიწყებდით აქ. ახალციხეში ვვაჭრობდი. დავიტივრთებოდი თბილისის დიდუბიდან და მარილი მიმქონდა ახალციხის ბაზარში.

მერე ხარებავეები გამოჩნდნენ, ისინიც სოხუმიდან არიან, ჩვენსავით,



– მერე ჩამოვედით ზუგდიდში, ზუგდიდიდან კი აქეთ გამოვეშურეთ, უმცროსი ვაჟი აქ იყო. აქ დაიწყო ნერა-კითხვის სწავლა, მესამე საჯარო სკოლაში დადიოდა. როცა ჩამოვედით, ანბანის ორი ასო ჰქონდა დარჩენილი სასწავლო.
 – აქ რომ ჩამოხვედით, როგორ დაინწყით? პირველი ნაბიჯები... ვინ დაგხვდათ, ვინ მიგიღოთ, ვინ ჩაგვიკრათ გულში..? ამ ქალაქმა რა გაგრძნობინათ?!

მეუღლემ მათთან დაიწყო მუშაობა, მშენებლობა მიდიოდა მაშინ და მეც დამიძახეს, საჭმელს ვუკეთებდი მუშებს. ასე შემოვრჩი ამ სამსახურში აგერ უკვე 19 წელია. დღესდღეობით რესტორან „მაი ჰაუსშიც“ ვმუშაობ, ნანასთან. ძვირფასად მიმიღო მანაც, მიწყობს ხელს და როგორ არ უნდა ვთქვა ეს, მაშინ ხომ უმადური გამოვალ. მერე იქიდან მივედივარ „კრისტალ ბეთში“ – ტოტალიზატორში და მერე აქაც



ვარ, მეუღლის გვერდით - ხარებავას სასტუმროში. ასე რომ... ცუდი არანაირად არ მეთქმის ბორჯომზე. სადაც შევდივარ, თანამშრომლები მაფასებენ და მეც ყველას ვაფასებ. მე რომ არ ვიმუშაო, მოვკვდები. სახლში ვერ დავჯდები. არ მეთაბილება არანაირი შრომა.

ასევე, ვარ ომის ვეტერანი. შვილები უკვე დიდები, დაოჯახებულები არიან, უფროსი აქ ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად, ჰყავს ორი ვაჟი და მუშაობს „ლიკანი პალასში“ დაცვის უფროსად; მისი უფროსი ვაჟი ამჟამად სამხედროშია კონტრაქტით, უმცროსი - მესამე საჯარო სკოლის მეთვრამეტე კლასელია. ჩვენი მეორე შვილი სამხედრო პოლიციელია, თბილისში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ჰყავს ორი ქალიშვილი.

- დაგსიზმრებიათ თქვენი კარ-მიდამო?

- ხშირად... ძალიან ხშირად... „წუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე, წუხელ სოხუმში ვიყავი თითქოს,

ჰაა... დღესაც ვლაპარაკობდი თანამშრომლებთან, მე თუ არ წავედი, ჩემი მეუღლე თუ არ წავიდა, აბა, ჩემი შვილები აქ დაიზარდნენ, შვილიშვილები აქ დაიზარდნენ და გაიზარდნენ, იმათმა რა იციან აფხაზეთი?.. ისე, უმცროსი შვილიშვილი შემეკითხება ხოლმე, - ბებო, რა გქონდათ იქ, ეზოშიო, რა ხილიო... უყვარს ხილი და... რომ ჩამოვუთვლი ხოლმე, - აუ, რა კარგაო. ეჰ! კარგია, მაგრამ სადაა, ბებო-თქო.

- რომ იყოს დაბრუნება, წახვიდოდით?

- წახვიდოდით, აბა რა! იქ დედულეთის სახლი მელოდება, ჩემი სახლი მელოდება, ჩემი დის სახლი კიდევ და... ბედნიერებაზე მეტი...

„როცა აფხაზეთში დავბრუნდებით, სისხლი არ იქნება მწვეთავი... ჩვენი ნაცხოვრები საბუღრები დაგვიბრუნდებიან ნეტავი?! როცა აფხაზეთი გავვედება, როგორც განმმენდილებს კარი ცის, გული, სიხარულის ბალებიდან,

კვლავ ჩვენივე სისხლით ვირწყეთ, ნატყვიარზე ყვავის ცეცხლის ზაფრანები...

არ გამიწყრეთ, არ გამიწყრეთ, არ გამიწყრეთ, აფხაზეთში მომლოდინე საფლავებო! დამცხრალია უკვე ფრთათა სიჩაუქე, ვაი, ხვალაც, ლექსო თუკი ვერ იმერცხლო... არ ჩამიქრე, არ ჩამიქრე, არ ჩამიქრე, აფხაზეთში ძლივს მბჟუტავო კერის ცეცხლო! ხვალ, ხსოვნაში როგორ უნდა

გავიბრწყინო, თუ ვითმინე სამარცხვინო ჩამუხლება?

არ მინყინოთ, არ მინყინოთ, არ მინყინოთ, აფხაზეთში დაცემული ჭაბუკებო!

ცხინვალი რომ დაიცალა, ხალხი რომ მოდიოდა, ტანსაცმელს და საკვებს რომ აძლევდნენ გზადაგზა, ვდარდობდი, ეე, რა საწყალია ეს ხალხი-თქო და... თურმე ცოტა ხანში ჩვენც გველოდებოდა აფხაზეთში ესეთი ამბავი და მათი ბედის გაზიარება.

- მას მერე „დამალობანას თამაში“ გრძელდება, ხომ?

- ჰოო... (გრემლებს მალავს). „...მოვედი, ზღვაო, მოგიყოლე ქვეყნის მოკითხვა, - მოეფერეო, აკოცეო, - სოხუმელებმა,

სხვაგან მეგონე, შენ კი თურმე აქვე ყოფილხარ, - მითრთის ხელები...

ვთამაშობთ - ვითვლი, ვითვლი, მაგრამ... არ ვიხილები, ვთამაშობთ - ლელავ, ლელავ, მაგრამ... მზერას ირიდებ; რად ამან ყვიტე ეს კენჭები - თეთრი ლილები გულისპირიდან?!..“

შენდა მზედლოდო!

ვაიმე, ვისაც კი დავუძახე ხმა არავინ გამცა და ვერავინ მიცნო.. ხმამალა ვეძახდი ჩემს სიჭაბუკეს, არავინ ისმენდა ჩემს გულწრფელ ძახილს, მერცხალს დანგრეოდა ერდოზე ბუდე, ხარით ბლაოდა ჩემი ეს სახლი... ჭიშკარს მივანეჭი და ველარ გავაღე, უნდობლად მიცქერდა ეზო, ცრემლი მორეოდა სისხლისფერ ვარდებს ასე უბრალოდ და უმიზეზოდ.. სიცხისგან ენა მიხმებოდა, ეზოში მღეროდა წყარო, გოგონა გამოვიდა - ჭიჭა მომანოდა, წყალი მიირთვით, უცნობო მგზავრო...

ჭიქაში ლაყვარდი ცეკვავდა ლურჯი, შუბლს ხსნიდა ამაყი ოდა, სურათი თუ გაცოცხლდა - ვფიქრობდი გულში, ოდის სურათი უბეჭი მქონდა... მდინარე „რაშოვდა“-ს მღეროდა ის ევ და მზე უკოცნიდა ფაფარს, ჭიშკარდაკეტილი ეზოსთან ვიდექ, დუმილით გაცეცქეროდი მთა-ბარს... რა ახლოს იყო ჩემი ნაკვეთარი, ჩემი სიყვარული და ტკბილი ნანა, რატომ არ იღება ჩემი სახლის კარი?! ნუთუ ვეღარ მიცნეს განა?! ნუთუ აფხაზეთმა, ცრემლი რომ

მადინა, არ კმარა, თვალებს რომ გამკრა ბინდი, შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ჩემო აფხაზეთო! სიზმრად ერთი ნუთით მაინც შემირიგდი... ისევ შემირიგდი, თქვენიანი მქვია, - ხმამალა ვაეძახე სახლსა და მინდორს, მაგრამ ეს ძახილი არავის შეუტყვია, ხმა არავინ გამცა და ვერავინ მიცნო...

მერე ავტირდი და თავში წავიშინე, სულ ჩამოვიხოკე სახე, ასე, მე ბევრჯერ დავიძინე და... სიზმარში აფხაზეთი ვნახე..!“ - როგორი მოლოდინი გაქვთ... იმედი თუ არ მომკვდარა იმის, რომ ოდესმე დაბრუნდებით?!

- მე იმედი სულ მაქვს, სულ! მაგრამ,

რას სჭექს - აღარავინ არ იცის... უაფხაზეთობით, პლანეტაზე, ვგავართ უმარტო გედიას, ვისთვის დაბრუნება მარიტასი - ბედნიერებაზე მეტია! როცა დავბრუნდებით აყვავებულ, ნატყვის, მოლოდინის ნაკვთებად, ჩვენი მამა-პაპის საფლავები ნუთუ დაკარგული დავგვხვდება?.. გულს ნუ მოვავგონებთ

გაბრაზებულს, რომ ჩვენ სასწაულად გვანვალეს, იქნებ პატრონობენ აფხაზეთი ჩვენი წინაპრების საძვალეს! გვთმის ეშმაკების დაკრულებმა, როგორც მარიტა და გედია... ჩვენთვის აფხაზეთში დაბრუნება ბედნიერებაზე მეტია!“

- მაგრამ... ვინ გვიშვებს... იყო ასეთი შემთხვევა, წითელი ჯვარი მოვიდა ჩვენთან, წაგიყვანოთ, გადაგიყვანოთ და გაჩვენებთ იქაურობასო, მაგრამ ამაზე არ გამიშვა - (ხელი გაიშვირა მეუღლისაკენ). მეშინია, უსაფრთხო არ არისო... თორემ, მე, დაუფიქრებლად მივდიოდი.

- კარგით, დავიჭოვოთ იმედი, რომ, ოდესმე, დაბრუნდებით. იმედი მაინც ბოლოს კვდება და, საერთოდ, არ მომკვდარიყოს - მე ვისურვებდი!

„...ეს ირემი ტყვიას უნდა გადაურჩეს და მოესწროს აპრილსა და მყვირალობას...“

არ დამიჭკნეთ, არ დამიჭკნეთ, არ დამიჭკნეთ, აფხაზეთში დაკრეფილო გვირილებო!

შეიკვლებამ გაიჭრუოლა მთათა მიღმა, ქართლის დედა ისევ ძაძით იმოსება... არ გამიხმეთ, არ გამიხმეთ, არ გამიხმეთ, აფხაზეთში დაჩხილო მიმოხვებო!

ნაცარტუტით ავსებულო ცათა სიღრმე, აკვნებისთვის სინათლეს არ იმეტებენ...

არ დამიღნეთ, არ დამიღნეთ, არ დამიღნეთ, აფხაზეთში დარჩენილო იმედებო! ჩვენი ყანა



მოითმინე, ეს დროება გავა ძნელი, მერე ნახე, მტერი თუ კვლავ ვათავსებო...

გაუძელი, გაუძელი, გაუძელი, აფხაზეთში წამებულო აფხაზეთო! მტრობის დამე ძმობის დილით გათენდება, ურჯულოთა ფლოქვით ველარ ვადამთქერონ... აშენდები! დიახ! კვლავაც აშენდები! აფხაზეთში დაცემული

საქართველოვ!“

- მიუხედავად იმისა, რომ მე არ განმიცდია და ვერც გავიაზრებ ამას ისე, როგორც თქვენ, თუმცა მიახლოებულად მაინც საშინლად მტკივა თქვენი ტკივილი... ახლობლებიც მყავს დევნილები და მათ გამოც... აი, რომ წარმოვიდგენ, რომ ერთ დღეს, შესაძლოა მეც დამემართოს, მსგავსად გადავადგილდე იძულებით სხვაგან, სხვა გარემოში, სხვა კლიმატში, უცხო ადამიანებთან, დავტოვო მშობლიური მიწა, ეზო, კედლები, ქუჩები, ყველა ის ჩემეული ადამიანი, ის ნივთი, რომელიც ჩემია და მიყვარს... უჰ! ძალიან რთულია რამეების წარმოდგენა ცი... - მეც ზუსტად შენსავით განვიცდიდი, ტელევიზორში რომ ვუყურებდი,

- ერთსაც გკითხავთ. რა გენატრებათ ყველაზე მეტად? - (თან მეუღლეს მივუბრუნდი, რომელიც ამ საუბრის დროს შიგადაშიგ ჩაგვერთვებოდა ხოლმე).

- ეეჰ!-ო, ზღვის ლოდივით დაუმძიმდა სათქმელი და... ისევ მეუღლემ, ქალბატონმა ნონამ შეაშველა - ზღვის პირასაა მონატრებული, ჩემსავით... და კიდევ, ჩვენთან რომ ცხელ ქვიშაზე ვადულებდით ყავას, ის ყავაც ენატრებო, სოხუმთან ერთად...

„...ქილით რომ ჯემი გამატანე, გუშინ გავხსენით. - რა ხილიაო, - ბებო, - გემო სოხუმს მახსენებს. მეც ვუთხარი, რომ ფეიჰოა, ლიმონი ნაზავი... - რა შორსააო, - დააყოლა, - ბაბუასავით!..“ „...გყოლოდი, ზღვაო, - რად გამაშვილე?!..“

სოხუმში ჩვენი ტკივილია. იმედი მაქვს, სამუდამოდ არა!

ნანა კეკელიძე, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომელი (ინტერვიუში გამოყენებულია რობერტ მესხის, ჯემალ შონიას, ბათუ დანელიასა და დავით სულთანოვილის ლექსები)

შენაბ ბერიძე - 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო მერაბ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1967 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ თქვენი პირველი ლექსი „მეგობრობა“ გამოქვეყნდა. მას შემდეგ თითქმის ექვსი ათწლეული წლის განმავლობაში სრულად გამოიკვეთა თქვენი მეტად კოლორიტული ფიგურა სამშობლოს ჭეშმარიტი ფუძისა, რომელიც რაინდული შემართებით დარაჯობს მისი საესავი ქვეყნის სამხრეთ კარიბჭეს და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ქართული ჯიმი და გენი მძლავრობდეს სამცხე-ჯავახეთში, რათა მტარვალთა და ავთვალთა საჯიჯგინი არ გახდეს ივერთა მინა.

სწორედ ასეთი პიროვნება ილანდება თქვენს პოეტურ კრებულებში („უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“; „თარიღიანი ლექსები“...), ამ კრებულების ლირიკული გმირი ქადაგადაა ქცეული და მარადიული სიფხიზლისკენ მოწოდებს ქართველობას, გაუძღონ მგლების ხროვად ქცეული გავრცელებული ვანდალების შემოტევებს, რომლებსაც ღვთისმშობლის ნილხვდომილი მინა სათარემოდ და გასათელად სჭირდებათ...

თქვენი სახით ქართულ მეცნიერებას ძალზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი მკვლევარი ჰყავს. თანამედროვე ქართული ონომასტიკის განვითარება წარმოუდგენელია თქვენი მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის გარეშე. ამის დასტურია თქვენი, როგორც საკანდიდატო („ჯავახეთის ტოპონიმია“ – 1986 წ.), ისე სადოქტორო („მესხური ტოპონიმის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები“ – 2005 წ.) მონოგრაფიები. დაახლოებით თქვენი მეცნიერული კვლევის საგანი თქვენზე მშობლიური კუთხეა,



რომლის წარსულსაც ასე დადინჯებითა და დაუნჯებით უღრმავდებით, რათა ვერავინ და ვერასოდეს ვერ დაიჩემოს თავისად ათასწირნახადი ქართული მხარე, დღესაც რომ ბოლომდე ვერ მოუშუშებია იარები.

თქვენი სამეცნიერო ღვაწი ჩვენი დედაუნივერსიტეტიდან დაიწყო, რომლის კედლებსაც დღემდე ახსოვთ დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრე მამულიშვილთა ნაბიჯები. სწორედ აქ ახალი ქართული ანის კათედრასთან არსებულ ტოპონიმის ლაბორატორიაში მუშაობდით ჯერ ლაბორანტად, შემდეგ კი მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1990 წლიდან სათავეში ჩაუდექით თსუ-ს ახალციხის ფილიალს. თქვენვე ჩაუყარეთ საფუძველი თსუ-ს ჯავახეთის ფილიალს და დიდხანს იყავით მათი დირექტორი. 2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყავით. ამჟამად რექტორის მოადგილე ხართ სამეცნიერო დარგში და ჩვეული გატაცებით ემსახურებით საყვარელ საქმეს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი წლების განმავლობაში მუშაობდით საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორად.

თქვენი მონოგრაფიები თუ სა-

მეცნიერო ნაშრომები, როგორცაა „ტაძრები და სახელები“, „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“, „ზველი და მისი შემოგარენი“, „ნასოფლარი ერკოტა“, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი“, „ასპინძა და ასპინძელობა“, მშვენიერი დასტურია მათი ავტორის ღრმა ერუდიციისა, ფართო თვალსაზრისისა, განსწავლულობისა...

სულ ახლახან დღის სინათლე იხილა თქვენს მიერ შედგენილი მესხეთის ტოპონიმის ექვსტომეულის პირველმა ტომმა. ვიმედოვნებთ, რომ დანარჩენი ტომებიც სულ მალე დაამშვენებს ჩვენი წიგნების თაროებს.

თქვენი რედაქტორობით გამოიცა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“ და ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არავი“. ერთ-ერთი დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი ხართ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“. იყავით სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თქვენს ღვაწლს ამაოდ არ ჩაუვლია. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები. „ქართული სულის“ ფესტივალზე „დიდი მესხის“ წოდება და ოქროს მედალი მოგენიჭათ. 2013 წელს ჟენევაში გამდგეცათ ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი. არჩეული ხართ ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო მერაბ! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედს, მეცნიერს, მამულიშვილს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ეროვნული საქმიანობის ღირსეულად გასრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შილოცვა

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის სახელით დაბადებიდან 75 წლისთავს ვულოცავთ ერის გამორჩეულ მეცნიერს, მკვლევარს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის ფილიალების დამფუძნებელს, მის პირველ რექტორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სამცხე-ჯავახეთის დიდ ამავდარსა და ერისკაცს,

ბატონ მერაბ ბერიძეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევებს, სამსახურეობრივ წარმატებებს, ოჯახურ ბედნიერებას, შვილებისა და შვილიშვილების დღეგრძელობასა და გამრავლებას. დიდი პატივისცემით,

მეშა ბერიძე - გვარის ეთნარქი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი
აკაკი, ეთარი და ბაჰანი ბერიძეები - აჭარიდან
ჯემალი, პერიკო და ნინო ბერიძეები - თბილისიდან
ალექსანდრე ბერიძე - ნიუ ორკიდან
ორხან ბერიძე - სტამბოლიდან
იური ბერიძე - დანიიდან
ბები ბერიძე - ნაფარულიდან
ნუზუარ ბერიძე - თბილისიდან

მერაბ ბერიძის ანეკდოტი

მერაბ ბერიძის ცხოვრება, საქმიანობა და ღვაწლი მისი დიდი მასწავლებლების სამეცნიერო და პრაქტიკული მემკვიდრეობის ღირსეული გაგრძელებაა; თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ კუთხით, მხოლოდ ისინი არ უნდა ვიგულისხმოთ, ვინც ბ-ნი მერაბის უშუალო აღმზრდელები იყვნენ. ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ სასაზღვრო საშვებით შეიძლებოდა ჩასვლა; იქ ყოფნისას დაგეუფლებოდათ განცდა ძველი საქართველოსი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის ერთიანობის იდეას, სადაც მოღვაწეობდნენ წმ. გრიგოლ ხანძთელი, წმ. სერაპიონ ზარზმელი და მათი თანამოაზრეები, სადაც არსებობდა არაერთი მონასტერი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, საიდანაც მოინიშნა მთლიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლები თავისი ენით – ქართულით.

მერაბ ბერიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ონომასტიკის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი იყო, როდესაც დადგა დრო, დაარსებულიყო ახალციხის უნივერსიტეტი; ამ მისიის აღსრულება სწორედ მას დაეკისრა, რო-

გორც ამ კუთხის შვილს და დიდ ქომავს, ღირსეულ ქართველს, მესხს, ასპინძელ კაცს – ბ-მა მერაბმა გააკეთა უმნიშვნელოვანესი არჩევანი და ითავა ეს ურთულესი, დიდად საპასუხისმგებლო მისია – როგორც ჩვენი წინაპრები ჭრიდნენ საძირკველს და აგურ-აგურ აშენებდნენ ქართული სულის ამაღორძინებელ კერას, ასე შეუდგა იგი თბილისის უნივერსიტეტის იდეის გადმოტანას ახალციხეში, ამასთან, ჩვენი წინაპრების გზის აღდგენას, გაცოცხლებასა და განახლებას.

1981 წელს 3 თვით სამხედრო სავალდებულო სამსახურს გაედიოდით თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. 86-ე პოლკში გაგვანაწილეს, რომელიც საფარის მონასტრის გზაზე კარვებში იყო განთავსებული. ე.წ. „სამავოლკაში“ რომ წავიდოდით, რათა ახალციხეში ცოტა გაგვევლ-გამოგვევლო, ქალაქში ძვირად თუ გაიგონებდით ქართულ სიტყვას. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ მაშინდელი რექტორის, ბ-ნი მერაბის და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის გადამწვეტილებით ახალციხის უნივერსიტეტში სამი წლის მანძილზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი.

პირადად მქონდა საშუალება, გავსაუბრებოდი სტუდენტებს და შემეფასებინა ახლადკურსდამთავრებულების ცოდნა. არ ვაჭარბებ, ჩემთვის ეს იყო დღესასწაული და დიდი სიამაყის განცდა, თუ როგორ გაღვიძებულიყო ქართული სული, ქვეყნის მოქალაქეობის რწმენა საქართველოს ამ ერთ დროს გამოცალკეებულ, საზღვრისპირა კუთხეში, სადაც უწინ მხოლოდ საშვებით თუ შეიძლებოდა შესვლა. მესხეთ-ჯავახეთი „დაბრუნებული იყო“ თავის მშობლიურ ნიაღში.

მახსენდება ახალციხის უნივერსიტეტში მიწვეული პირველი პროფესორ-მასწავლებლები: თსუ-ს I და I კორპუსებს შორის იდგა „პაზიკის“ ტიპის ყვითელი ავტობუსი, აქ იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორები – ლევან მენაბდე, პაატა ცხადაია, ზურაბ კიკნაძე, ნესტან სულავა, სერგო მელიქიძე და სხვები, რათა მხარი დაეჭირათ ახალციხის უნივერსიტეტისთვის, წაეკითხათ ლექციები, ჩაეტარებინათ სემინარები...

მერაბ ბერიძის არჩევანმა შედეგი გამოიღო: ამჟამად ახალციხის სასწავლებელი მკვიდრ საფუძველზე დგას, ჰყავს თავის წიაღში აღზრდილი მკვლევრები, პედაგოგები და სტუდენტთა ყოველწლი-

ური ნაკადი, რაც ამ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას დიდ პერსპექტივას უსახავს.

ვულოცავ ბ-ნ მერაბს იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებებს დიდ ოჯახთან ერთად, სიყვარულს თავისი ქვეყნისა, სიყვარულს ადამიანისა, რაც არასდროს აკლდა. ამ მისასალმებელ სიტყვას რომ ვწერდი, მაგიდაზე მისი ნაჩუქარი ორი ნაშრომი მედო – „ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება (ნიონონინდის მუნიციპალიტეტი), თბ., 2023“ და „მესხეთის ტოპონიმია, I, ახალციხე, 2024“. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ბ-ნი მერაბი კვლავაც მუხლჩაუხრელად აგრძელებს აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას და მომავალ თაობებს გადასცემს საკუთარ უდიდეს გამოცდილებას და კვლევით შედეგებს.

„ღმერთო შენითა, ბატონო მერაბ!“ – როგორც ჩვენი საერთო მასწავლებელი იტყოდა...

გიბა ალიბაგაშვილი,

საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე

იუბილე

ბატონო მერაბ, გილოცავთ იუბილეს!



თქვენ დიდებული და წარმატებული გზა გაიარეთ დღემდე და კიდევ ბევრი გაქვთ გასავლელი. თქვენი დიდი წვლილი ნათლად წარმოჩნდა მესხეთში უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებით. ეს იყო ეროვნული გმირობა და ქართული განათლებისა და კულტურის გამარჯვება. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა აამაღლა განათლების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და მოსახლეობის სახელმწიფოსთან ინტეგრაციის დონე. ახალციხესა და ახალქალაქში სასწავლო სამეცნიერო ცენტრების გახსნით თქვენ განაგრძეთ გრიგოლ ხანძთელის მიერ ხანძთისა და შატბერდის დაარსებით დამკვიდრებული ტრადიცია და განავითარეთ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. თქვენ გაამდიდრეთ ენათმეცნიერება: შექმენით და დაამკვიდრეთ მეცნიერული და სასწავლო დარგი მესხეთის ონომასტიკა. თქვენ მიერ დაწერილი „მესხეთის ტოპონიმის“ რვა ტომი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომია საქართველოს ისტორიაში. გამოკვლევითი საქმე არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, იმერხევის, მაჭა-

ხელას და სხვა მხარეთა ტოპონიმები. საიბულო ნელს მკითხველისათვის მნიშვნელოვანი საჩუქარია თქვენი ახალი ლექსების კრებული „თარიღიანი ლექსები“, რომლითაც ნათლად გამოვლინდა თქვენი პოეტური ნიჭი და მაღალი მხატვრული აზროვნება. ნიგნში ობიექტურად არის ასახული თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესები და სულიერი ცხოვრების დინამიკა. თქვენ დააარსეთ სამეცნიერო და ლიტერატურული გამოცემები „გულანი“ და „არავი“.

ბატონო მერაბ, თქვენ ძლიერი ნებისპიროვნება ხართ. ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი მოღვაწე. თქვენში მოცემულია ორგანიზატორის, მეცნიერის, ლექტორისა და პოეტის ნიჭი და უნარი. თქვენი აკადემიური კვლევის, სტუდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის სტილი, მეცნიერული ანალიზი, მსჯელობა და რეალობის აღქმა საინფორმაციო თქვენი დიდი მოღვაწეობისა, იჯანმრთელებს და იდეგარდებს ბატონო მერაბ! გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო, სასწავლო და შემოქმედებით საქმიანობაში.

პახტანგ ინაშვილი

წაღვწის მაცხინდლორად დაფასებს გისურვებთ!

მესხეთს გასაჩირო არასდროს არ აკლდა, მაგრამ ყველა ეპოქაში თავის ნიაღში შობდა ისეთ პიროვნებებს, რომელთაც „ერის წყლული არნდათ წლულად“ და ახერხებდნენ საყვარელი კუთხის პრობლემების გათავისებას და, შეძლებისდაგვარად, მოგვარებას.

ბატონ მერაბ ბერიძესაც სწორედ ისეთ პერიოდში მოუწია თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის დაწყება, როცა ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, ჩვენი კუთხეში კი, მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ცხოვრების სულ ახლებურად მოწყობის მეტად რთული პროცესი იწყებოდა. სწავლა-განათლების საქმე მესხეთში ხომ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა და ასეთ გარემოებაში პერიოდში ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნა უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენი კუთხისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვისაც. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ბატონ მერაბის ღვაწლი, რომელიც თავიდანვე ამ საშვილიშვილო საქმის სათავეებთან იდგა და დღემდე აგრძელებს თავის ნაყოფიერ და დაუღალავ სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ფასდაუდებელია ბატონ მერაბ ბერიძის შრომა მესხეთის ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა-შენარჩუნების საქმეში. მისი ფუნდამენტური ნარკვევები მესხეთის ტოპონიმოკაში, გამაჰმადიანებული მესხების გვარ-სახელების და სხვა საკითხებში, სამაგიდლო წიგნებია უამრავი

მკვლევრისთვის. წლების განმავლობაში ბატონი მერაბის ხელმძღვანელობით სამცხე-ჯავახეთში მოწყობილიმა ექსპედიციებმა უამრავი დასაწვინებლად და დასაქარგავად განწირული უმნიშვნელოვანესი მასალები შეაგროვა და შემოინახა ჩვენი კუთხის ეთნოგრაფიის, ონომასტიკის და ეპიგრაფიკის სფეროში. მაქვს პატივი პირადად ახლოს ვიცნობდე ასეთ ღირსეულ პიროვნებას.

გასულ წელს ერთადეც მოგვიწია ნონწინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ექსპედიციაში ყოფნა. აღმაფრთოვანა მისმა თავმდაბლობამ, კოლეგიალობამ, საქმისადმი სერიოზულმა მიდგომამ, შრომისმოყვარეობამ (ყველა წვრილმან საქმეშიც კი არ თავილოებდა და თავად იღებდა მონაწილეობას) ერუდიციამ და დიპლომატიურმა ნიჭმა. მიუხედავად ზოგიერთ პოლემიკურ საკითხში ჩვენი ბოლომდე შეუთანხმებლობისა, მჯერა ერთმანეთის მიმართ უდიდესი პატივისცემა გაგვაჩინა, ამიტომ გულითადად ვულოცავ ბატონ მერაბს 75 წლის იუბილეს, ვუსურვებ თავის დიდ და ძლიერ ოჯახთან ერთად ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებას და წაღვწის მაცხინდლორად დაფასებას, ჯანმრთელობას და დღევანდელი დღისა, რაც მთავარია, ჩვენ მხარეს ბატონ მერაბის მსგავსი ამაგდარი პიროვნება კიდევ ძალიან დიდხანს სჭირდება!

კუპური მებრეველი

ბატონო მერაბ,

გულითადად გილოცავთ 75 წლის იუბილეს.

თქვენ, როგორც გამორჩეულ მეცნიერს, პუბლიცისტსა და ფილოლოგს ფასდაუდებელი წვლილი მიგიძღვით სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ჩვენი მხარის საზოგადოებისათვის, თქვენ ერთ-ერთი გამორჩეული, სამაგიდლო პიროვნება ბრძანდებით, რასაც მეგობრების, კოლეგებისა და სტუდენტების თქვენდამი მოწონება, სიყვარული და პატივისცემა ცხადყოფს.

თუნდაც თქვენი მოზრდილება ჩვენთან მუზეუმში რაოდენ თვალსაჩინო ხდის თქვენდამი კეთილ დამოკიდებულებას და პატივისცემას.

75 წლის მერაბ ბერიძე დღეისათვის შენაღვწეა შემოქმედებით ფორმაშია.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით, ციური ლაფარი

გილოცავ, ჩემო მერაბ!

ჩარეცხილი „წითელი პროფესორის“ სახელით მადლობას ვუხედი „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას, რომ საშუალება მომცა გამომეცხაურებოდი მერაბ ბერიძის საიუბილეო თარიღს და შეეჭვიდებოდი ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი თანამოაზრობისა და ეროვნულ მოძრაობაში თანამშრომლობის დიდი გზის საჯაროდ წარმოჩენის ამოცანას.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი მიზნები განათლების სისტემის ამოცანად სახავდა კომუნისტური საზოგადოების ღირსეული წევრის აღზრდას და ტოტალიტარული მმართველობა ამ ამოცანისათვის არ იმურებდა მძლავრ იდეოლოგიურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ რესურსებსა და მექანიზმებს. გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე დაფუძნებული ქართული უნივერსიტეტი კი, სიტუაციური კონტექსტის შესაბამისად, იბრძოდა და ახერხებდა კიდევ, არა მარტო ეპოქის შესატყვისი მეცნიერებისა და განათლების მისიის, არამედ ქართული ეროვნული ღირებულებებისა და იდეალების სამსახურს.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მაშინ, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა ახალგაზრდა მეცნიერთა აქტივობის ორგანიზაციული და ინსტიტუციური მართვის აუცილებლობა დააკანონა, ქართულმა საუნივერსიტეტო ცხოვრებამ ამ სიახლეს შეუხამა და საზოგადოებას შესთავაზა ეროვნული მოძრაობის მოდელი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ შემუშავებული და ინიცირებული პროექ-

ტების რეალიზებაში ხელშეწყობას გულისხმობდა. მათ შორის იყო პროექტი „მზრუნველი ხელი სამხრეთ საქართველოს“, რომლის ფარგლებში, „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ზონად დადგენილი ხუთი დახურული რაიონი – ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონები, საუნივერსიტეტო აქტივობებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. სწორედ ამ პროექტის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა სტუდენტთა მესამე „შრომითი სემესტრის“ სასაზღვრო ზონაში ორგანიზება და, პირველყოფნისა, ხიზაბავრის ტერასის აღდგენაში სტუდენტური ორგანიზების ჩართვა. ასეთმა აქტივობებმა, ფართო საზოგადოებასთან და რეგიონების მოსახლეობასთან უკუკავშირით უზრუნველყოფილი საუნივერსიტეტო საქმიანობამ, დიდწილად განსაზღვრა 1978 წლის აპრილის მოვლენების სულსკვეთება, მისი მასშტაბი და უმნიშვნელოვანესი შედეგის – საბჭოთა ისტორიაში დემოკრატიული მოძრაობის პირველი გამარჯვების – ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონების მიღება. ამ გამარჯვებამ კი მნიშვნელოვანწილად განაპირობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საყოველთაო სახალხო ხასიათი, ცხრა აპრილის აპოთეოზი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

განვლო სახელმწიფოებრიობის ფორმირების ურთულესი გარემოება-

ლი ეტაპის მეოთხედმა საუკუნემ და საუნივერსიტეტო ეროვნული მოძრაობის აუცილებლობა კვლავაც აქტუალურია, რადგან ქვეყნის კანონმდებლობა განათლების სისტემას სახელმწიფოებრივ ამოცანად უსახავს კომუნისტურისაგან განსხვავებულ, ახალი სიტუაციური კონტექსტის შესატყვის ამოცანას, „ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების მქონე თავისუფალი მოქალაქის“ აღზრდის ამოცანას და, შესაბამისად, კვლავ წინა პლანზე იწევს ეროვნული იდენტობის თემა, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციებისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია იმით, რომ, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ვალდებულია გაითვალისწინოს „ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის“ მოთხოვნები და შექმნას ისეთი განათლების სისტემა, რომელიც „უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდას ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემის სულსკვეთებით“, მეორე მხრივ კი, იმით, რომ რიგ შემთხვევაში ეროვნულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში მოდის ხელი-სუფლები მიერ ნებადართული იდეი ბიზნეს პროექტები, რომლებიც მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ვერ გეტყვით, რატომ მოშალა ახალმა მესაკუთრემ ხიზაბავრის ტერასებზე გაკეთებული წარწერა „თსუ – 77“, მაგრამ ეს ფაქტი გულსატკეპნია საუნივერსიტეტო ეროვნული მოძრა-

ობის ყველა მონაწილისა და გულშემატკივრისთვის და, რაც მთავარია, იმაზე მეტყველებს, რომ ეს ფაქტი გარკვეულწილად ამართლებს საუნივერსიტეტო ეროვნული მოძრაობის შემოქმედით „წითელი პროფესორის“ ტოტალური ჩარეცხვის პროცესს, ამკვიდრებს კოლექტიური ხსოვნით მანიპულირების პრაქტიკას და ეროვნული იდეალებისადმი უპატივცემულობას და ხელს უშლის საგანმანათლებლო სისტემას, რომ მან შექმნას და ასაზრდოოს ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებების პატივისცემის გამოვლენისათვის ხელსაყერი გარემო.

როცა დამოუკიდებელი საქართველოს თანამედროვე გამონეგებზე ვფიქრობ, კვლავ საიმედო საყრდენად მესახება მერაბ ბერიძე. ამასწინათ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციის შემდეგ, მასზე მაღალ, ორ დაჯიჯკაცებულ შეილიშვილთან ერთად რომ შევხვდი, გული გამიბოხდა და ეს სურათი მომავლის საიმედო სიმბოლედ მეჩვენა.

ცხადია, ახალი თაობა თავის სიტყვას იტყვის ეროვნულ მოძრაობაში და სათანადოდ გაითვალისწინებს ახლო და შორეული წარსულის გამოცდილებას და, ვფიქრობ, მათთვის სანიშნურო უნდა იყოს მერაბ ბერიძის ცხოვრება, რომელიც საკუთარი სამშობლოს კლდეზე მიჯაჭვულობაში განიცდის ყველაზე მარტივად თავისუფლების სიხარულს. მრავალუამიერ, ჩემო მერაბ!

პარმენ მარგველაშვილი

თამაზ ჩიკვაძე - 80

ღაღრმაცოცხლება და მზარცოცხლება ნუ მოხდათო!



გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ მისი გამოცემის დღიდან, არაერთი მწერალი, პუბლიცისტი თუ სხვადასხვა დარგის პროფესიონალი

თანამშრომლობს, რომელთა ნამოღვაწის დიდი ინტერესით ეცნობა ჩვენი გაზეთის მკითხველი და მალე შეფასებასაც აძლევს მას. მათ შორის ერთ-ერთია დიდებული, მრავალმხრივ განვითარებული პროფესიონალი, ქვეყნის მემკვიდრე, ბორჯომის კოლორიტი ადამიანი, ბატონი თამაზ ჩიკვაძე, რომელსაც დაბადების 80 წელი შეუსრულდა და ჭაბუკური შემართებით კვლავაც განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას.

ბატონი თამაზი დაიბადა ქ. თბილისში, წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამედიცინო მრეწველობის სამინისტროში სანარმოო განყოფილების ინჟინრად, უფროს ინჟინრად, განყოფილების გამგის მოადგილედ; ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორად; ავტოლის სილიკატური, საკედლე მასალების ქარხნის გენერალურ დირექტორად, ქართული-რუსული ერთობლივი ფირმა „იბერ-ფარმის“ დირექტორად და სხვ.

1998 წელს მან წაღვერში ჩამოაყალიბა მეფუტკრეთა კოოპერატივი „თორი“ და მთელი თავისი მოღვაწეობა ბოლოს ამ მიმართულებით

გააგრძელა. აქვე უნდა ითქვას, რომ ბატონი თამაზი, როგორც ბორჯომის კოლორიტი და განსაკუთრებით საინტერესო პიროვნება, თავისი მრავალმხრივი პროფილით, სამი წელი აქტიურად ხელმძღვანელობდა ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზს.

ბატონი თამაზი მოსწავლეთა შორის, 1961 წელს, ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა. იგი მონაწილეობას ლეზულადა ჭადრაკში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვში, რიგაში, ვილნიუსსა და ბაქოში. არის ოსტატობის კანდიდატი.

ბატონი თამაზის შემოქმედებითი ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა როგორც სამცხე-ჯავახეთის შუასაუკუნეების ისტორიის მკვლევარის პოზიციაზე, განსაკუთრებით, რუსთველოლოგიის მიმართულებით. მან 30-მდე შესანიშნავი პუბლიკაცია გამოაქვეყნა გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომელთა შორისაა: „ისევ რუსთაველის სადაურობის შესახებ“, „დიდი რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხისათვის“, „აძიკვას ბარელიეფი და შოთა რუსთველი“, „ჭაბუკურის შენობის სივრცითი სივრცე და შოთა რუსთველი“, ასევე მოაზარა და ამავე გაზეთში გამოაქვეყნა

მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით საინტერესო წერილები, მათ შორის „ფუტკრეთის ისტორიიდან მსოფლიო აღმოჩენამდე“, „უსახელი მეფეთა საგანძური“ და ა.შ.

ბატონმა თამაზმა ახლახან თავი მოუყარა მთელ თავის შემოქმედებით ნაღვანს და გამოსაცემად მოაზარა გამოკვლევების მრავალგვერდიანი კრებული, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი უახლოეს მომავალში მიიღებს.

გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ, ამაგდარ და შესანიშნავ ადამიანს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, საიუბილეო თარიღს – 80 წლის იუბილეს და გვჯერა, რომ იგი თავისი შესანიშნავი მეცნიერული კვლევებით, პუბლიკაციებით მომავალში კვლავაც გააზარებს თავის ერთგულ მკითხველს.

დღეგრძელობა, მზებრძელობა და ოჯახური ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთ, ბატონო თამაზ!

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით, ავთანდილ ბერიძე

ჩანახატი

ღურმიშხან ბერიძე

დაკლავნილი ბილიკებს წყნარად გავცქერო. მტკვრის ხეობიდან მონაბერი ქარი მკერდს მიღვავს და უბემი მიძვრება. შენ გარბიხარ და მე მოგდევი... მოგდევი და ასე მგონია, დაგვეყვი ამ უზარმაზარ კლდეებში. შენ ადინარ მალა, ძალზე მალა და იბუდებ ქვათა შორის. მეჩვენება, რომ ჩვენს შორის საუკუნეთა ზღვარი გაივლო. შენ ერთ ნაპირზე დარჩი, მე – მეორეზე. ვგრძნობ, როგორ ეხეთქება ეკლესიის კედლებს უდაბნოს ცხელი ქარები, რომლებიც აქ ტანმორჩილ ცხენზე ამხედრებულმა დამპყრობლებმა მოიტანეს. გხედავ, ხელში ხან ხმალი გიჭირავს, ხან – ბავშვი, ხან დაობლებულ ოჯახს უდგახარ ბურჯად, ხან ხატის წინ ღოცულობ დღე და ღამ, ხან ძალით გამწყვედვენ ამ სავანეში და ხან ნებით მოდიხარ, ბედისაგან დაჩაგრული. გული მწყდება, რომ ამ კლდეებზე მხოლოდ შენს კვალს ვათვლიერებ. მინდა ნუგეში მოგცე, შთაგაგონო, რომ ღმერთი ეს შენ ხარ, საქართველოს ცაზე გაბრწყინებულ

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

ფილკორი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ვაჟიშვილი, გულადი და ისეთი ლამაზი, რომ მასზე უკეთესი ვაჟი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა, ბიჭი დასაქონინებელი რომ გახდა, ხელმწიფემ დაიბარა და უთხრა: ნადა, შეილო, და, ვინც მოგეწონოს, ის ითხოვე. ბიჭმა დაუჯერა მამას და გაუდგა გზას. დედამისის ზურგი სულ შემოიარა, ბევრი ქალი ნახა, მაგრამ არცერთი არ მოეწონა. ბოლოს, შეჯდა თავის მფრინავ რაშზე და გაფრინდა აღმოსავლეთით, ბედის მწერლის საძებრად. ცეცხლის მთა გადაიარა და პირდაპირ სამოთხის კარს მიადგა. ისეთი სანახაობა გადაეშალა, რომ იქიდან კაცს წამოსვლა აღარ მოუნდებოდა. ბევრი საკვირველები ნახა. აქეთ-იქით გაიარა-გამოიარა და შეხვდა ერთ თეთრწვერა ბერიკაცს. – ვერ შენი ბერი არ მოსულა და აქ რამ მოგიყვანაო, – ჰკითხა ბერიკაცმა. – ბედის მწერალს დავეძებ, იქნებ იცნობდეო. – უპასუხა ვაჟმა. – ბედის მწერალი მე ვარ, რას თხოულობო! –

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

გაურინაწვეშული ზღვის მოლოდინში

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

ღურმიშხან ბერიძე

